ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 06

ქ. ონი 20. 06. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, მერაბ ბიჭაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, ბიძინა ყიფიანი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ეკა მაისურაძე, თამაზ მეტრეველი, ნინო ბერუჩაშვილი, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, როსტომ ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ბესიკი მაისურაძე, შუქურა ჯაფარიძე, ნოდარ ბურდილაძე, ანა ბაქრაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი,

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყ. უფროსი ირინა გობეჯიშვილი, მერიის ადმ. სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფ. განყოფილების უფროსი მაგდანა მაისურაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულების ცვლილების შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი:/მომხსენებელი: გივი ბენდიანიშვილი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტ. სამს. უფროსი /

3.,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: ირინე გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყო. უფროსი/

4,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - ადმინ. სამსახ. ადამიან. რესურს. მართვის ადა საინფ. განყ. უფროსი/

5.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

6.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს : 1. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულების ცვლილების თაობაზე.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი:/მომხსენებელი: გივი ბენდიანიშვილი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტ. სამს. უფროსი /

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: ირინე გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყო. უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - ადმინ. სამსახ. ადამიან. რესურს. მართვის ადა საინფ. განყ. უფროსი/

მ. მაისურაძემ სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

ს. გუგეშაშვილმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

თ. მეტრეველმა ისაუბრა სოფ. ღებში, მდ. ლათქიშორასა და ჭალეების უბანში არსებული უხარისხოდ შესრულებული ნაპირსამაგრების შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნული ნაპირსამაგრების მშენებლობაზე დიდი თანხებია დახარჯული, თუმცა ორივე გაბიონი გადახრილია და საფრთხის შემცველია.

ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ანალოგიური მდგომარეობაა სოფ. უწერაში, მდ. მუშუანზე არსებულ გაბიონზეც.

ს. ხიდეშელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში მოდის უკვე დაკორექტირებული პროექტები, მუნიციპალიტეტს არ ჰყავს სპეციალისტი, ვინც დაითვლის მდინარეთა გარეცხვის დონეს და ა. შ. რაც შეეხება ჭალეების უბანში არსებულ გაბიონს, მიმდინარეობს სამართლებრივი დავა როგორც პროექტის ავტორთან, ასევე შემსრულებელთან.

ვასილ მეტრეველმა და თამაზ მეტრეველმა გამოთქვეს სურვილი, მათი კანდიდატურები დაემატოს პროექტების მიმღები კომისიის შემადგენლობას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე